საქართველოს მთავრობის

დადგენილება №611

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ფინანსთა მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი	საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	საბჭოს წევრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი	საბჭოს წევრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	საბჭოს წევრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	საბჭოს წევრი;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი;
საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი;
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი;
სსიპ – კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი;
ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი;
ა(ა)იპ – საქართველოს ბიზნეს ასოციაციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**